საზოგადოებრივი მაუწყებლის 2022 წლის

ანგარიში

პრეამბულა

2023 წლის ბოლოდან საქართველოს პირველი არხი დაიწყებს ახალ მისამართზე გადასვლის პროცესს. პროექტის მასშტაბურობისა და სირთულის გათვალისწინებით, 2024 წელს მაუწყებელი თავის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე დიდი გამოწვევის წინაშე დგება. ახალ მისამართზე გადასვლისა და ურთულესი ტექნოლოგიური ინტეგრაციის პროცესის პარალელურად, მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს 2024 წლის ბიუჯეტის და პროგრამირების გადაგეგმვა ახალ შენობაში გადასვლის გათვალისწინებით.

ისტორია

2020 წლის 28 მაისს, საქართველოს პირველმა არხმა, თბილისის მერიის არქიტექტურული სამსახურისგან შენობა/ნაგებობების თანამედროვე ადმინისტრაციულ-ტექნიკური კომპლექსის მშენებლობის ნებართვა მიიღო. საპროექტო წინადადება არჩეულ იქნა კონკურსის წესით და მშენებლობა იმავე წელს, დეკემბრის თვეში დაიწყო.

2022 წელს მშენებლობის პროცესი შევიდა აქტიურ ფაზაში. ჩატარდა მასშტაბური სამშენებლო სამუშაოები:

- 2022 წელს დასრულდა ადმინისტრაციული შენობის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები, ასევე, პავილიონების ლითონის კონსტრუქციების რკინაბეტონის ჩარჩოების მონტაჟი.
- დასრულდა ენერგეტიკული ცენტრისა და ავტოსადგომის შენობების საძირკვლის მომზადება.
- 2022 წლის ბოლოს დაიწყო ფასადის სისტემების მოწყობისა და გადახურვის სამუშაოები.
- 2022 წლის ბოლოს ჩატარდა ტენდერი საინჟინრო სისტემების დამონტაჟებაზე კონტრაქტორის შესარჩევად. გამარჯვებულად გამოვლინდა შპს „თბილი სახლი“ და მის მიერ შესასრულებელი სამუშაოების ღირებულებამ შეადგინა 39,844,275.82 ლარი, დღგ-ს ჩათვლით.
- ჩატარდა ელექტრომომარაგების, საკომუნიკაციო და უსაფრთხოების სისტემების დამონტაჟების სამუშაოები. ქალაქის ინფრასტრუქტურის სასიცოცხლო მნიშვნელობის მაგისტრალებთან გარე კავშირების უზრუნველყოფის მიზნით მომზადდა სათანადო მოთხოვნები შესაბამისი სამსახურების მიმართ.
- 2022 წელს დასრულდა ყველა საოფისე სივრცისთვის პროექტით გათვალისწინებული ავეჯის და ტერიტორიის კეთილმოწყობის შესყიდვის უზრუნველსაყოფად ჩასატარებელი ტენდერების მომზადება. აღნიშნული ტენდერების გამოცხადება 2023 წლის მეორე კვარტალში იგეგმება და მათი პირველადი ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებული ღირებულება შეადგენს 3 874 820 ლარს, დღგ-ს ჩათვლით.
- მიმდინარეობს სამუშაო პროცესის უწყვეტი მონიტორინგი და დროული დაფინანსება. შეგახსენებთ, რომ მშენებლობას ახორციელებს ტენდერის შედეგად გამოვლენილი კომპანია - შპს დაგი. სამშენებლო სამუშაოების ღირებულება შეადგენს 44,592,262.38 ლარს, დღგ-ს ჩათვლით, საიდანაც მიმდინარე ეტაპზე ანაზღაურებულია -17,423,435.07 ₾. ლარი.

აღსანიშნავია, რომ 2022 წლის სექტემბერში, თბილისში, კოსტავას 68-ში მდებარე საზოგადოებრივი მაუწყებლის შენობა-ნაგებობები და მიწის ნაკვეთი 65 100 000 ლარად გაიყიდა. აუქციონზე გამოტანილი იყო 33 209 კვადრატული მეტრი მიწის ნაკვეთი და 23 649 კვადრატული მეტრი შენობა-ნაგებობები. აუქციონში მონაწილეობის შესაძლებლობა დაინტერესებულ მხარეებს 2022 წლის 30 სექტემბრის ჩათვლით ჰქონდათ. მაუწყებლის შენობა „ვისოლ ჯგუფმა“ შეიძინა.

2022 წლის შეფასებისას განსაკუთრებით მნიშვნელოვანია შიდა და გარე აუდიტის მიერ წარმოდგენილი დასკვნები, რომელიც ეხება საზოგადოებრივი მაუწყებლის 2022 წლის ფინანსური საქმიანობის შეფასებას.

მთლიანი ბიუჯეტის განკარგვის პირობებში, საერთაშორისოდ აღიარებული დამოუკიდებელი აუდიტის მიერ დადებული დადებითი დასკვნა, არ შეიცავს არცერთ მითითებას ხარვეზზე, დარღვევაზე ან მოქმედ კანონმდებლობასთან შეუსაბამო ქმედებაზე, რაც უმნიშვნელოვანესი და უპირობო საზომია საზოგადოებრივი მაუწყებლის ანგარიშვალდებულებისა და გამჭვირვალობის შეფასებისას.

მოგახსენებთ, რომ გარე აუდიტის ანგარიში, საზოგადოებრივი მაუწყებლის 2022 წლის პერიოდის ფინანსური ანგარიშგების/კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების, საგადასახადო და განხორციელებული შესყიდვების მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობის აუდიტს მოიცავს (იხ. თანდართული დოკუმენტების სახით №1 და დანართი №2).

წარმოგიდგენთ მაუწყებლის 2022 წლის საქმიანობის ანგარიშს „მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის 35-ე მუხლის მოთხოვნის შესაბამისად:

„1. სამეურვეო საბჭო არაუგვიანეს ყოველი წლის 1 მაისისა საქართველოს პარლამენტსა და კომისიას წარუდგენს და აქვეყნებს ანგარიშს საზოგადოებრივი მაუწყებლის გასული წლის საქმიანობის შესახებ."

2. ანგარიში უნდა შეიცავდეს ინფორმაციას:

ა) საზოგადოებრივი მაუწყებლის სამაუწყებლო პოლიტიკის შესახებ;

ბ) მიმდინარე და სამომავლო პროგრამული პრიორიტეტების შესახებ;

გ) მიმდინარე და სამომავლო პროგრამათა განრიგის შესახებ;

დ) დამოუკიდებელი პროგრამებისა და მათი მწარმოებლების შესახებ;

ე) საზოგადოებრივი აზრისა და სამაუწყებლო ბაზრის კვლევის შედეგების შესახებ;

ვ) განხილული საჩივრების რაოდენობისა და შინაარსის შესახებ;

ზ) საჯარო განხილვების შინაარსისა და მოქალაქეთა წინადადებების შესახებ;

თ) საზოგადოებრივ მაუწყებელთან ურთიერთდამოკიდებულების მქონე საწარმოების შესახებ;

ი) საზოგადოებრივი მაუწყებლობის მომავალი წლის ბიუჯეტის შესახებ;

კ) საზოგადოებრივი მაუწყებლობის ბიუჯეტის შესრულების შესახებ;

ლ) შიდა და გარე აუდიტების დასკვნებს."

ა] საზოგადოებრივი მაუწყებლის სამაუწყებლო პოლიტიკის შესახებ

საზოგადოებრივი მაუწყებლის სამაუწყებლო პოლიტიკას განსაზღვრავს კანონი „მაუწყებლობის შესახებ“ და მისგან გამომდინარე პროგრამული პრიორიტეტები, რომელსაც შეიმუშავებს საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭო.

იხ. დოკუმენტი:

https://shorturl.at/ehloq

ბ] მიმდინარე და სამომავლო პროგრამული პრიორიტეტების შესახებ

სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ სამეურვეო საბჭოს 25/03/2022წ. #529 გადაწყვეტილებით დამტკიცდა საზოგადოებრივი მაუწყებლის პროგრამული პრიორიტეტები (2022 წლის 26 მარტიდან - 2025 წლის 26 მარტამდე პერიოდზე).

საზოგადოებრივი მაუწყებლის დამტკიცებული შინაარსობრივი პრიორიტეტებია:

- ✓ საზოგადოების წინაშე ხელისუფლების ანგარიშვალდებულების უზრუნველსაყოფად, ახალი და მიმდინარე ამბების მიმართულების და სხვა შესაბამისი თემატიკის პროდუქციამ მოქალაქეებს საშუალება უნდა მისცეს, გაეცნონ და მკაფიო წარმოდგენა შეიქმნან საშინაო და საგარეო პოლიტიკის საკითხებზე, საკანონმდებლო, აღმასრულებელი, სასამართლო ხელისუფლებების, ადგილობრივი თვითმმართველობების მუშაობაზე, ქვეყნისთვის მნიშვნელოვან შიდაპოლიტიკურ პროცესებზე, ძირითად ორიენტირებზე და გამოწვევებზე, იმ საერთაშორისო მოვლენებსა და ორგანიზაციებზე, რომლებიც საქართველოში მიმდინარე პროცესებთან კავშირშია ან გავლენას ახდენს მასზე. პროდუქციაში აისახოს:

  ა) სოციალური პრობლემები, განსაკუთრებული აქცენტით მოწყვლადი ჯგუფების პრობლემებსა და საჭიროებებზე;

  ბ) რიგითი მოქალაქის პრობლემები;

  გ) საქართველოს ევროატლანტიკურ ინტეგრაციასთან დაკავშირებული საკითხები/ პროცესები: ნატოში გაწევრიანების შესაძლებლობები, ქვეყნის განვითარებაზე დასავლეთთან ინტეგრაციის დადებითი გავლენა, ასოცირების ხელშეკრულებით მიღებული შესაძლებლობები, სხვა.;

  დ) საქართველოში მიმდინარე პოლიტიკური პროცესები;

  ე) ტერიტორიული მთლიანობის საკითხები, ოკუპირებულ ტერიტორიებზე მიმდინარე პროცესები, ოკუპირებულ და მიმდებარე ტერიტორიებზე მცხოვრები მოსახლეობის მდგომარეობა, მათ შორის, უფლებების დაცვის თვალსაზრისით არსებული ვითარება;

  ვ) საქართველოს შიდა და საგარეო პოლიტიკასთან დაკავშირებული საკითხები და პროცესები;

  ზ) უცხოეთში მიმდინარე მოვლენები;

  თ) საერთაშორისო პოლიტიკა, რომელიც გავლენას ახდენს ქვეყნის სტაბილურობაზე და ქვეყნის შიგნით მიმდინარე პროცესებზე;

  ი) საქართველოს რეგიონებში მიმდინარე სამოქალაქო, პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური, კულტურული ცხოვრების ამსახველი პროცესები;

  კ) ეთნიკური უმცირესობებით დასახლებული რეგიონებისთვის აქტუალური საკითხები;

  ლ) სოფლის მეურნეობის განვითარების მნიშვნელოვანი საკითხები;

  მ) ურბანული პოლიტიკის მნიშვნელოვანი საკითხები.

- საზოგადოებრივმა მაუწყებელმა უზრუნველყოს კვალიფიციური ინფორმაციის დროულად მიწოდება საზოგადოებისთვის საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანების პროცესზე, მის მნიშვნელობასა და იმ ვალდებულებებზე, რაც ევროკავშირის კანდიდატობის მსურველ ქვეყანას ეკისრება.

- საზოგადოებრივი მაუწყებლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა ჟურნალისტური გამოძიება. ჟურნალისტური გამოძიება როგორც გახმაურებულ ამბებს, შემთხვევებს, ასევე თემებს, რომლებიც კანონის უზენაესობას, ხელისუფლების ანგარიშვალდებულებას, ადამიანის უფლებების დარღვევებს და სახელმწიფოებრივად და საზოგადოებრივად აქტუალურ სხვა საკითხებს ეხება.

- ადამიანის უფლებების შესახებ მედიაპროდუქტების წარმოება და შეძენა, რომლებიც ორიენტირებული იქნება ადამიანის უფლებათა სწავლებაზე, პოპულარიზებაზე, საზოგადოების ინფორმირებაზე საერთაშორისო და ადგილობრივი გამოცდილების და მდგომარეობის შესახებ. საზოგადოებრივი მაუწყებლის უმთავრესი ვალდებულებაა, აღმოაჩინოს, დაინახოს და დაგვანახოს დღეს არსებული ყველაზე მტკივნეული პრობლემები, ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტები და მუდმივად წარმოაჩინოს ამ პრობლემების მოგვარების გზები, ასახავდეს აქტუალური თემების მრავალფეროვნებას, უზრუნველყოფდეს მოსახლეობის ინფორმირებას და განათლებას ამ მიმართულებით;

- საქართველოში არსებული ყველა რელიგიური და ეთნიკური ჯგუფების კულტურის, ტრადიციების, ფასეულობების, ყოფის, საჭიროებების, პრობლემების, წარმატებების, მნიშვნელოვანი თარიღებისა და სხვა საინტერესო საკითხების ამსახველი მედიაპროდუქტის მომზადება. საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ 2017-2020 წლების მიღებული საქართველოს ეროვნული ერთიანობის, სამოქალაქო ინტეგრაციის, ეთნოსთაშორისი და რელიგიათაშორისი ურთიერთობების ხელშეწყობის მედია სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის შესაბამისად. უზრუნველყოფილი იქნეს ყველა რელიგიური და ეთნიკური ჯგუფის ჩართულობა საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ მომზადებულ გადაცემებში.

- საგანმანათლებლო, სამეცნიერო, პოპულარული და სხვა დოკუმენტური ფილმების წარმოების, როგორც საზოგადოებრივი მაუწყებლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულების შენარჩუნება და განვითარება. ქართული მხატვრული და სატელევიზიო, ასევე ანიმაციური ფილმების შექმნა-შეძენა და მათი მხარდაჭერა.

- მოზარდების მონაწილეობით მედიაპროდუქტის მომზადება მათთვის აქტუალურ და საინტერესო თემებზე.

- მედიაპროდუქტის მომზადება ეკოლოგიის, ბუნებრივი რესურსების და გარემოს დაცვის საკითხებზე.

- სპორტული გადაცემების მომზადება, შესყიდვა და ტრანსლირება. ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზება.

მაუწყებლის ძირითადი სამოქმედო პრიორიტეტებია:

- საყოველთაო წვდომა: მაუწყებლის ყველა პლატფორმისა და პროდუქციის მომხმარებელთა რაოდენობრივი ზრდის უზრუნველყოფა როგორც კომბინირებულ მაჩვენებლებში (სატელევიზო, რადიო და მულტიმედიური არხები), ასევე ცალკე, პირველი არხის მაყურებლების მაჩვენებლებში;

- ✓ საყოველთაო მომსახურება: მრავალფეროვანი აუდიტორიის, მათ შორის, განსაკუთრებული საჭიროებების მქონე აუდიტორიის წარმოჩენა. ამ მიზნით პროდუქცია და ხარჯები უნდა განაწილდეს საზოგადოების სხვადასხვა 4 ჯგუფის, მათ შორის, ეთნიკური და რელიგიური ჯგუფების, შშმ პირების, რეგიონის მოსახლეობის ჩართულობისთვის;

- ✓ თვალთახედვების მრავალფეროვნება: საზოგადოებაში არსებული სხვადასხვა მსოფლმხედველობის, მოსაზრების, ფასეულობის და საჭიროების ასახვა და წარმოჩენა;

- ✓ საგანმანათლებლო, კულტურული, შემეცნებითი, საზოგადოებრივი პოლიტიკური პროდუქციის წარმოების და ხარისხის ზრდა. ამ პროდუქციის ადგილობრივი და უცხოელი მწარმოებლებისგან შესყიდვა;

- ✓ ბავშვებისთვის და მოზარდებისთვის (საგანმანათლებლო, გასართობი, სხვა) პროდუქციის წარმოების და ხარისხის ზრდა. ამ პროდუქციის ადგილობრივი და უცხოელი მწარმოებლებისგან შესყიდვა;

- ✓ ტელესკოლის, როგორც საგანმანათლებლო და შემეცნებითი პლატფორმის კონცეფციის შემუშავება და განვითარების გეგმის მომზადება;

- ✓ პროდუქციის ხარისხის, მრავალფეროვნების და ზეგავლენის წლიდან წლამდე ზრდა, მათ შორის, ახალი და მიმდინარე ამბების ბლოკის პროდუქციის სანდოობის ზრდის უზრუნველყოფა; არქივი - არქივის გაციფრულების და შენახვის შემდგომი უზრუნველყოფა.

დოკუმენტი იხილეთ სრულად:

https://1tv.ge/document/sazogadoebrivi-mauwyeblis-programuli-prioritetebi-2022-wlis-26-martidan-2025-wlis-26-martamde/

3] მიმდინარე და სამომავლო პროგრამათა განრიგის შესახებ

პროცენტული გადანაწილება ბადის პროგრამირებისას, მიმართულებების მიხედვით - 2022 წელი.



საზოგადოებრივი მაუწყებელი ქვეყნის კრეატიული ინდუსტრიის ყველაზე მნიშვნელოვანი კონტრიბუტორია და აუდიტორიას მრავალფეროვან პროდუქტს სთავაზობს ყველა პლატფორმაზე.

პირველი არხი - 2022 წლის შეჯამება:

https://tinyurl.com/5n9467fb

პირველი არხი / 34 გადაცემა

1. „ახალი დღე";
2. „პირადი ექიმი-მარი მალაზონია";
3. „დღის კოდი";
4. „გორგილაძის აუტანელი სიმსუბუქე";
5. „ამ შაბათ-კვირას";
6. „ტაიმ-აუტი";
7. „საფეხბურთო ტაიმ-აუტი";
8. „მოამბე";
9. „მოამბე - რეგიონები";
10. „დღის თემა";
11. „კვირის მოამბე"
12. „თავისუფალი ხედვა";
13. „42-ე პარალელი";
14. „აქტუალური შაბათი მაკა ცინცაძესთან ერთად";
15. „ბიზნესპარტნიორი";
16. „ბიზნესპარტნიორი - დილა";
17. „რეალური სივრცე";
18. „გამომძიებელი რეპორტიორი";
19. „რანინა";
20. „აკუსტიკა";
21. „ვოისი";
22. „მასტერშეფი";
23. „შარქ თენქ საქართველო";
24. „რა? სად? როდი?";
25. „წიგნების თარო" (სასკოლო);
26. „წიგნების თარო" (სტუდენტური);
27. „მარტივი ლოგიკა";
28. „დოსიე";
29. „ჰოპლა, ჩვენ ვცოცხლობთ!";
30. „მუსიკის 12 მოციქული";
31. „კაცები";
32. „ფერმა";
33. „ვაშინგტონი დღეს";
34. „ექსპონატით მოყოლილი საქართველოს ისტორია".

ტელესკოლა / 14 გადაცემა

- „ცვანციკას ონლაინ გაკვეთილები";
- „ქართული ჟესტური ენის გაკვეთილები";
- „ქართული ენის გაკვეთილები; არაქართულენოვანი სკოლებისთვის";
- „ინგლისური ყველასთვის";
- „გაკვეთილები აბიტურიენტებისთვის";
- „რჩევები მშობლებს";
- „როცა ბავშვი";
- „კინოკლუბი";
- „დემეტრეს დღიური";
- „ფოტოფოკუსი";
- „ჩექინი/ChekIn";
- „ცხრა მთას იქით";
- „დიდი გამოგონებები";
- „გენიოსები".

ახალგაზრდული თოქ-შოუები

- „წითელი სკამი";
- „თაობა".

მხატვრული და დოკუმენტური ფილმები

ათი დოკუმენტური ფილმი/სერიალი

1. „უნივერსიტეტის დამაარსებლები - გიორგი ახვლედიანი" - (რეჟისორი ბესიკ გაფრინდაშვილი);
2. „ჯაბუა ამირეჯიბის პერსონაჟთა პროტოტიპები" - (რეჟისორი ქუცნა ამირეჯიბი);
3. „ჯაბუკიანის ხანძარი" - 3 სერია (რეჟისორი ნარგიზა გარდაფხაძე);
4. „უნივერსიტეტის დამაარსებლები ელისაბედ ორბელიანი" - (რეჟისორი ბესიკ გაფრინდაშვილი);
5. „რეპრესირებული მწერლები" - (რეჟისორი შალვა შენგელი);
6. „მოგზაურობა ისტორიაში - აბრეშუმის გზის კავკასიური მაგისტრალი" - 10 სერია (ავტორი ვ.მაღლაფერიძე, რეჟისორი ლევან ახობაძე);
7. „დაკარგული წიგნები" - (სტუდია ეპოქა) 20 სერია (ავტორები: აკა მორჩილაძე, ქეთი სადღობელაშვილი, რეჟისორი გიორგი ებრალიძე);
8. „დროის სუნთქვა" (ზაირა არსენიშვილი) - (ავტორი და რეჟისორი ქეთი სადღობელაშვილი);
9. „მეფე ერეკლე - რეპორტაჟი ისტორიიდან"– 2 სერია (ავტორი ვასილ მაღლაფერიძე, რეჟისორი ჯაბა მელქაძე);
10. „არხოტი" - (ავტორები: ეთერ თათარაიძე, ამირან არაბული, ლია ტოკლიკიშვილი. რეჟისორი ბესო გაფრინდაშვილი).

ოცდარვა ტელედოკი

1. „ენგურჰესი-მშვიდობის კუნძული" - რეჟისორი ბესიკ გაფრინდაშვილი;
2. „ხიდი" - რეჟისორი თამარ გოლავა;
3. „ლომერი... და დღე იყო უფრო გრძელი წუთისოფელზე" - რეჟისორი ნატა პაჭკორია;
4. „თებერვლის ტანკები" - რეჟისორი დიმიტრი სილაქაძე;
5. „გოგონა ელფების ქვეყნიდან" - რეჟისორი მირანდა ნამიჭეიშვილი;
6. „ხმაური და მონატრება" - რეჟისორი თათია ახალშენაშვილი;
7. „სამი დღე, ორი ღამე" - რეჟისორი ლევან შუბაშვილი;
8. „ფოტო თეთრ ფონზე" - რეჟისორი ანა ბარჯაძე;
9. „ასე მახსოვს" - რეჟისორი დიმიტრი სილაქაძე და თათია ახალშენაშვილი;
10. „სამყაროს ცენტრი" - რეჟისორი გია დიასამიძე;
11. „ქუჩის თეატრი" - რეჟისორი გია დიასამიძე;
12. „ცეკვა ჰაერში" - რეჟისორი ნინო კაკაურიძე;
13. „ხიზაბავრა" - რეჟისორი ბესიკ გაფრინდაშვილი;
14. „დამოუკიდებლობის ერთი ისტორია" - რეჟისორი დიმიტრი სილაქაძე და მიხეილ ბასილაძე;
15. „ცხოვრება მშვენიერია" - რეჟისორი ლევან შუბაშვილი;
16. „ჩემი ტელეფონის მეხსიერება" - რეჟისორი პაპუნა მოსიძე და თათია ახალშენაშვილი;
17. „ცოტა რამ მამაჩემის შესახებ" - რეჟისორი ლუკა კოპალეიშვილი;
18. „ჩვენი თეატრის ამბავი" - რეჟისორი გია დისამიძე;
19. „წერილი ილონ მასკს" - რეჟისორი სანდრო ნავერიანი;

20. „ნიღბების სამყაროში“ - რეჟისორი მირანდა ნამიჭეიშვილი;
21. „დღეს ზღვაში გავალთ“ - რეჟისორი გია დიასამიძე;
22. „რატილი“ - რეჟისორი დათო ცინცაძე და ნათია ხიჯაკაძე;
23. „თირის საიდუმლო“ - რეჟისორი ბესიკ გაფრინდაშვილი;
24. „პროსპექტი 43“ - რეჟისორი ანა ბარჯაძე;
25. „დრამერები“ - რეჟისორი თათია ახალშენაშვილი;
26. „წიგნების შემგროვებელი“ - რეჟისორი ნინო კაკაურიძე;
27. „ურბანული გალერეა“ - რეჟისორი გია დიასამიძე;
28. „სიყვარული. სხვა არაფერი“ - რეჟისორი გია დიასამიძე.

თხუთმეტი კოპროდუქცია

1. სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „იარე, ლიზა“ - რეჟისორი ნანა ჯანელიძე;
2. დოკუმენტური ფილმი „მუღამათი“ - რეჟისორი თამთა გაბრიჩიძე;
3. მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ზებრა“ - რეჟისორი ალექსანდრე ნავერიანი;
4. მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „სავსე სიცარიელე“ - რეჟისორი ირინა ჯავახაძე;
5. სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმის „შაშვი, შაშვი მაყვალი“ - რეჟისორი ელენე ნავერიანი;
6. სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „პეპლების იძულებითი მიგრაცია“ - რეჟისორი ნანა ჯორჯაძე;
7. სრულმეტრაჟიანი ფილმი „რეალური არსებები“ - რეჟისორი ვახტანგ ჯაჯანიძე;
8. მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „პაპანაქება“ - რეჟისორი თორნიკე გოგრიჭიანი;
9. მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ნომერი 26“ - რეჟისორი გვანცა მეფარიშვილი;
10. მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „გუშაგები“ - რეჟისორი სანდრო სულაძე;
11. მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „აუზი” - რეჟისორი სალომე ლაცაბიძე;
12. მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ფუტკრის დაცემა“ - რეჟისორი ვაჟიკო ჩაჩხიანი;
13. მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „მეზობლები“ - რეჟისორი დავით ბორჩხაძე;
14. სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ანტიკვარიატი“ - რეჟისორი რუსუდან გლურჯიძე;
15. სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „ქვა“ - რეჟისორი მარიამ ხაჭვანი.

ორი ქართული მხატვრული ტელესერიალი

1. „სიყვარულს მიღმა” (39 სერია);
2. „ო-ჯახი” (30 სერია).

ერთი ანიმაციური ტელესერიალი

1. „მაშველები” (6 სერია).

რადიო პროექტები / 22 გადაცემა

მუსიკალური, შემეცნებითი, გასართობი

1. „პიკის საათი";
2. „სახლისკენ";
3. „რადიო-ექსპრესი";
4. „ჩაი ორისთვის";

მუსიკალურ-შემეცნებითი

5. „კლასიკის საათი";
6. „აკუსტიკა";
7. „მუსიკის 12 მოციქული";
8. „სი ბემოლ ვიტამინი";
9. „მთელი ეს როკი";
10. „უცნობი მუსიკა";
11. „ისტორიის პოპ გაკვეთილები";
12. „ჯაზოფრენია";
13. „ჩაკრულო";
14. „ტრადიციული მუსიკა";
15. „ღამე ოპერაში";

კულტურა და შემეცნება

16. „რადიოკალენდარი";
17. „წიგნის დრო";

საზოგადოებრივ პოლიტიკური

18. „ახალი ამბები";
19. „მსოფლიო ამბები";
20. „42-ე პარალელი";
21. „ღია სტუდია";
22. სპორტული თოქ-შოუ - „ესტაფეტა".

2022 წლის მთავარი სპორტული მოვლენები

- ზამთრის ოლიმპიური თამაშები - „პეკინი 2022";
- მსოფლიო ჩემპიონატი ფეხბურთში;
- მსოფლიო ჩემპიონატი წყალბურთში;
- მსოფლიო ჩემპიონატი ძალოსნობაში;
- ჩემპიონთა ლიგა წყალბურთში;
- ევროპის ჩემპიონატი წყალბურთში;
- ევრო 2022 ფუტსალში;
- ევროპის ჩემპიონატი ძიუდოში;
- 2022-2023 წლების ერთა ლიგა ფეხბურთში;
- ქალთა ევროპის ჩემპიონატი ფეხბურთში;
- რაგბიში ქალთა მსოფლიო თასი;
- მსოფლიო ჩემპიონატი კალათბურთში;
- ევრობასკეტი 2022.

მრავალფეროვანი საქართველო

- 2022 წლის განმავლობაში, ყოველდღიურ რეჟიმში, 1tv.ge-ზე ითარგმნებოდა ახალი ამბები აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე.
- ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით, ოთხი საინფორმაციო გამოშვება „მოამბე" გადიოდა ეთერში აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე და მიმდინარეობდა „მოამბის" მთავარი საინფორმაციო გამოშვების სინქრონული თარგმნა ორივე ენაზე;
- 2022 წლის განმავლობაში, ჯგუფი „მრავალფეროვანი საქართველო" იმყოფებოდა ქვემო ქართლის და სამცხე ჯავახეთის ყველა სოფელში, მოსახლეობასთან ტარდებოდა შეხვედრები, ასევე, კარდაკარის პრინციპით მოსახლეობას მიეწოდებოდა ინფორმაცია იმ პროდუქტების შესახებ, რასაც საზოგადოებრივი მაუწყებელი აწარმოებს ეთნიკური უმცირესობებისთვის.

დ] დამოუკიდებელი პროგრამებისა და მათი მწარმოებლების შესახებ

2022 წელს გარე წარმოების პროდუქტებზე შვიდ მილიონ ლარზე მეტი დაიხარჯა, რამაც მთლიანი ეთერის **30%** შეადგინა.

7 მილიონი ლარი ინვესტიცია ქართულ
კრეატიულ ინდუსტრიაში
მიმართულებების მიხედვით



გარე სტუდიები:

1. შპს „სტენლი შოუ" - „შარქ თენქ საქართველო";
2. შპს „TV 11" – „სიყვარულს მიღმა", „კაცები";
3. შპს „გეიმ-თივი" - „რა? სად? როდის?";
4. შპს „ნოვა პროდაქშენი" - „მასტერშეფი";
5. შპს „მედია საკონსულტაციო ჯგუფი" - „ვოისი", "ო-ჯახი";
6. შპს „წიგნების თარო" - გადაცემა „წიგნების თარო" და „წიგნების თარო სტუდენტური";
7. შპს „შოუ მედია პროდაქშენი" - „მარტივი ლოგიკა";
8. შპს „ვესტ ანიმეიშენი" - „მაშველები";
9. შპს „ბიზნეს მედია კორპორაცია" - „ბიზნესპარტნიორი";
10. შპს „ვუდენ მანქი" - "მეფე ერეკლე- რეპორტაჟი ისტორიიდან";
11. შპს სტოქტონი - „ევროვიზია".

3] საზოგადოებრივი აზრისა და სამაუწყებლო ბაზრის კვლევის შედეგების შესახებ

2022 წელს ჩატარდა რაოდენობრივი კვლევა - სატელევიზიო ბაზრის სეგმენტაცია.

კვლევა ჩატარდა საქართველოს მასშტაბით, 2000 პირისპირ ინტერვიუ.

კვლევის მიზანი იყო ტელეაუდიტორიის სეგმენტაცია.

მაყურებლის სეგმენტაციის კრიტერიუმები: *დემოგრაფია (სქესი, ასაკი, დასაქმება, ოჯახის სტრუქტურა, განათლება, ეკონომიკური სტატუსი; ტელევიზიის სამომხმარებლო ღირებულება/ფუნქცია ადამიანის ცხოვრებაში; ცხოვრების სტილი; პიროვნული მოტივები და დეფიციტები.*

კვლევაში მონაწილეობდნენ 18 წლის და უფროსი ასაკის რესპონდენტები. კვლევამ გვიჩვენა, რომ ჯამში აქტიური და პასიური ტელემაყურებლების წილი ბაზარზე 94,9%-ა. მოსახლეობის ყველაზე აქტიური ნაწილი 69,1% ტელევიზორს უყურებს დღეში სულ მცირე ერთხელ.

ტელემაყურებლების (აქტიური+პასიური) წილი იმატებს ასაკის მატების პროპორციულად.

ყოველდღიური მაყურებლების პროპორცია თითქმის იდენტურად მაღალია 36-45 და 46-55 (75.2% და 77.9%) წლის სეგმენტში. ასეთი აქტიური მომხმარებლების წილი 90%-ს აღწევს 56-65 წლის სეგმენტში და 95%-ს ცდება 65 წელს ზევით ადამიანებში. ახალი ტექნოლოგიების გამოყენებამ შეცვალა აუდიტორიის ქცევა, ყოველდღიურად ტელევიზორის ყურების ქცევა ახასიათებს 79%-ს, 24% ტელეგადაცემებს უყურებს სხვა მოწყობილობების საშუალებით: კომპიუტერში, ლეპტოპში, პლანშეტში, სმარტფონში. შეიცვალა დროში ყურების ქცევაც. აღმოჩნდა, რომ ტელემაყურებელთა 13% გადაცემებს უყურებს გადახვევის რეჟიმში, 35% - მიმდინარე დროში, ხოლო 52%-თვის ორივე ქცევაა დამახასიათებელი.

საზოგადოებრივი მაუწყებლისთვის მნიშვნელოვანი პარამეტრია „ნდობა“. კვლევაში რესპონდენტები 5 ბალიანი სისტემით აფასებდნენ თავიანთ დამოკიდებულებას სხვადასხვა არხებისგან მიღებული ინფორმაციისადმი. აღმოჩნდა, რომ კონკურენტ არხებს შორის, საზოგადოებრივ მაუწყებელს უნდობლობის ყველაზე დაბალი მაჩვენებელი 5.3% აქვს. სრულ ნდობას უცხადებს რეგულარული მაყურებლების 46,1%; შუალედური განწყობა 43.2%-მა დააფიქსირა.

3] განხილული საჩივრების რაოდენობისა და შინაარსის შესახებ

ა) ადმინისტრაციული საჩივრების შესახებ

2022 წლის განმავლობაში სსიპ "საზოგადოებრივ მაუწყებელში", როგორც ადმინისტრაციულ ორგანოში, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით გათვალისწინებული ადმინისტრაციული საჩივარი არ შემოსულა.

ბ) თვითრეგულირების მექანიზმით გათვალისწინებული საჩივრების შესახებ

"მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-14 მუხლის 1-ლი პუნქტისა და საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2009 წლის 12 მარტის #2 დადგენილებით დამტკიცებული "მაუწყებელთა ქცევის კოდექსის" საფუძველზე, სსიპ "საზოგადოებრივ მაუწყებელში" შექმნილია თვითრეგულირების მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს ამ კოდექსით გათვალისწინებული საჩივრების განხილვას.

2022 წლის განმავლობაში სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" თვითრეგულირების ორგანოში საჩივარი არ შემოსულა.

ზ] საჯარო განხილვების შინაარსისა და მოქალაქეთა წინადადებების შესახებ

საჯარო ადმინისტრაციული წარმოების წესით საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს 2022 წლის 25 მარტის N529 გადაწყვეტილებით, განისაზღვრა საზოგადოებრივი მაუწყებლის პროგრამული პრიორიტეტები 2022 წლის 26 მარტიდან 2025 წლის 26 მარტამდე.

თ] საზოგადოებრივ მაუწყებელთან ურთიერთდამოკიდებულების მქონე საწარმოების შესახებ

საზოგადოებრივ მაუწყებელს არ გააჩნია "მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის 35-ე მუხლის მე-2 პუნქტის "თ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული საწარმოები.

0] საზოგადოებრივი მაუწყებლის მომავალი წლის ბიუჯეტის შესახებ

სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" 2023 წლის დამტკიცებული ბიუჯეტი
საანგარიშგებო პერიოდი: 01.01.2023 - 31.12.2023

ვალუტა: ლარი

	სულ
სამეურვეო საბჭო	1,289,153
გენერალური დირექტორი და დაქვემდებარებული სამსახურები	4,078,035
ახალი და მიმდინარე ამბები	13,987,827
მედია	26,215,376
ტექნიკა და ტექნოლოგიები	16,045,220
ფინანსები და ადმინისტრაცია	72,379,890
სხვა გადასახდელები	27,643,299
მთლიანი ბიუჯეტი:	161,638,800

ფულადი ნაკადები

ხაზინა	85,943,500
შენობის რეალიზაცია	65,295,300
კომერციული შემოსავალი	4,200,000
წინა პერიოდის ნაშთი	6,200,000
ჯამი	**161,638,800**

3] საზოგადოებრივი მაუწყებლის ბიუჯეტის შესრულების შესახებ - 2022 წლის ანგარიში

ბიუჯეტის შესრულების ზოგადი პარამეტრები

„საზოგადოებრივი მაუწყებლის" სამეურვეო საბჭოს მიერ დამტკიცებული 2022 წლის მთლიანმა ბიუჯეტმა შეადგინა 80,779,328 ლარი.

„საზოგადოებრივი მაუწყებლის" მიერ 2022 წლის განმავლობაში ჯამურად მიღებულმა საკასო შემოსავალმა შეადგინა 124,283,754 ლარი. აქედან, 69,853,000 ლარი შეადგინა სახელმწიფო ასიგნებამ, 49,931,700 ლარი შეადგინა შენობის რეალიზაციიდან მიღებულმა თანხამ, ხოლო - 4,499,054 ლარი კომერციული საქმიანობიდან მიღებულმა შემოსავალმა. 2022 წლის განმავლობაში მაუწყებლის მიერ გაწეულმა ჯამურმა საკასო ხარჯმა შეადგინა 76,392,513 ლარი.

2022 წლის დასაწყისში მაუწყებლის ანგარიშზე აკუმულირებული ფულადი ნაშთი შეადგენდა 6,718,668 ლარს, წლის დასასრულს დარჩენილმა საკასო ნაშთმა შეადგინა 54,609,908 ლარი.

2022 წლის დაგეგმილი ბიუჯეტისა და გაწეული საკასო ხარჯის შედარება:

ძირითადი მიმართულებების მიხედვით ბიუჯეტის გეგმა და მისი შესრულება

	ბიუჯეტი	ხარჯი	სხვაობა	%
სამეურვეო საბჭო	1,047,795	919,051	128,744	87.7%
გენ.დირ. და დაქვ.სამს	3,144,566	3,170,463	(25,896)	100.8%
ახალი და მიმდინარე ამბები	12,296,291	13,358,911	(1,062,620)	108.6%
მედია	24,557,850	20,863,808	3,694,042	85.0%
ტექნიკა და ტექნოლოგიები	12,073,756	12,137,989	(64,233)	100.5%
ფინანსები და ადმინისტრაცია	13,002,753	12,212,081	790,672	93.9%
სხვა გადასახდელები	14,656,316	13,730,210	926,106	93.7%
მთლიანი ბიუჯეტი:	**80,779,328**	**76,392,513**	**4,386,814**	**94.6%**

როგორც მოცემული ცხრილიდან ჩანს, 2022 წლის ჯამურმა საკასო ხარჯმა შეადგინა ბიუჯეტირებულთან შედარებით 4 მლნ 386 ათასი ლარით ნაკლები.

ბიუჯეტის შესრულება, 2022წ.



შრომის ანაზღაურება

საზოგადოებრივი მაუწყებლის 2022 წლის შრომის ანაზღაურებაზე ბიუჯეტირებული თანხა განისაზღვრა 33,407,460 ლარით, ფაქტობრივმა გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 32,688,990 ლარი. ფაქტობრივმა სახელფასო ხარჯმა შეადგინა 718 ათასი ლარით ნაკლები.

2022 წლის შრომის ანაზღაურების გადანაწილება ბლოკების მიხედვით:

	ბიუჯეტი	ხარჯი	სხვაობა	%
სამეურვეო საბჭო	905,122	866,871	38,251	95.8%
გენერალური დირექტორის აპარატი	304,500	243,605	60,895	80.0%
გენერალურ დირექტორს დაქვემდებარებული სამსახურები	2,128,399	2,413,149	-284,750	113.4%
ახალი და მიმდინარე ამბები	10,944,746	10,968,895	-24,149	100.2%
მედია	9,173,335	8,141,114	1,032,222	88.7%
ტექნიკა და ტექნოლოგიები	7,477,596	7,682,051	-204,455	102.7%
ფინანსები და ადმინისტრაცია	2,313,762	2,373,306	-59,544	102.6%
გადასახდელები	160,000	-	160,000	0.0%
	33,407,460	**32,688,991**	**718,470**	**97.8%**



მივლინება

2022 წლის სამივლინებო ხარჯმა შეადგინა 1,400,357 ლარი. ბიუჯეტით განსაზღვრული სამივლინებო თანხა შეადგენდა 772,432 ლარს.

2022 წლის განმავლობაში სამივლინებო თანხის გადაჭარბებამ შეადგინა 627 ათასი ლარი, რაც განპირობებული იყო შემდეგი გარემოებებით: საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2022 წლის 29 სექტემბრის ბრძანება N336 - ის თანახმად, ქვეყნის შიგნით მივლინების სადღეღამისო ხარჯების ნორმა გაორმაგდა, ხოლო ქვეყნის ფარგლებს გარეთ მივლინების სადღეღამისო და ბინის დაქირავების ხარჯების ნორმები გაიზარდა სხვადასხვა პროპორციით (ქვეყნების მიხედვით). გარდა ამისა, 2022 წელს, პანდემიით გამოწვეული შეზღუდვების მოხსნის შედეგად, მაუწყებლის საჭიროებებიდან გამომდინარე, განახლდა შიდა და საერთაშორისო მიმოსვლები და განხორციელდა იმაზე ბევრად მეტი მივლინება, ვიდრე ბიუჯეტით წინასწარ იყო დაგეგმილი.

სამივლინებო ხარჯები სამსახურების მიხედვით:

	გეგმა	ფაქტი	სხვაობა	%
სამეურვეო საბჭო	50,000	1,730	48,270	260.6%
გენ.დირ. და დაქვ.სამს	-	-	0	
ახალი და მიმდინარე ამბები	483,957	1,018,613	(534,656)	210.5%
მედია	238,475	374,179	(135,704)	156.9%
ტექნიკა და ტექნოლოგიები	-	5,835	(5,835)	
ფინანსები და ადმინისტრაცია	-	-		
ჯამი:	**772,432**	**1,400,357**	**(627,925)**	**181.3%**



მივლინების ხარჯები ნაწილდება შემდეგნაირად: კაპიტალური ხარჯები

2022 წლის განმავლობაში მაუწყებლის მიერ გაწეულ იქნა შემდეგი კაპიტალური ხარჯები:

ტექნიკური აღჭურვა	856,512
სტუდიის დეკორაცია	54,477
ახალი შენობის მშენებლობა	7,079,972
სულ:	7,990,961

ლიცენზიები

მაუწყებლის მიერ 2022 წლის განმავლობაში მექანიკური პროდუქციის შესყიდვაზე დაიხარჯა 729,841 ლარი, კონცერტების და დაჯილდოებების ჩვენების უფლების შესყიდვაზე - 10,746 ლარი, ხოლო სპორტულ ლიცენზიებზე - 2,202,485 ლარი.

სპორტული ლიცენზიები	
Qatar 2022	1,142,801
UEFA/FIFA other Events	23,572
FIBA 2022-2025	**169,367**
ოლიმპიადა_Beijing 2022	495,736
ოლიმპიადა_Paris 2024	139,04
ძიუდო	**2,920**
ძალოსნობა	96,263
წყალბურთი	92,783
სპორტული ლიცენზიები	**2,202,485**
კონცერტი/დაჯილოდება	10,746
მექანიკური პროდუქცია	729,841
სულ:	**2,943,071**

კომერციული შემოსავლები

2022 წელს საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ საკუთარი სახსრებით მოზიდულმა თანხამ შეადგინა 54,430,754 ლარი. აღნიშნული თანხიდან სასპონსორო და სარეკლამო საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი იყო 1,447,829 ლარი, საიჯარო შემოსავალმა შეადგინა 396,709 ლარი, საპროცენტო შემოსავალმა - 2,080,985 ლარი, შენობის რეალიზაციიდან მიღებულმა საკასო შემოსავალმა - 49,931,700 ლარი, სხვა კომერციულმა შემოსავლებმა კი - 573,530 ლარი.

2022 წლის კომერციული შემოსავლები

შინაარსი	
შენობის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი	49,931,700
სარეკლამო/სასპონსორო შემოსავლები	1,447,829
რეკლამიდან მიღებული შემოსავალი	*147,810*
სპონსორობა	*1,051,260*
პროდაქტ ფლეისმენტი	*248,758*
იჯარაიდან და ტექ. მომსახურებიდან მიღებული შემოსავალი	396,709
დეპოზიტის საპროცენტო სარგებელი	2,080,985
სხვადასხვა არასაოპერაციო შემოსავლები (Google.com; Youtube.com და სხვა არარეზიდენტები)	573,530
სულ	**54,430,754**

სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ 2022 წლის განმავლობაში გაწეული ხარჯების შესახებ დეტალური ინფორმაციისთვის იხილეთ დანართი N1.

დანართი N1

სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის საკასო ხარჯები

პერიოდი: 01/01/2022- 31/12/2022

ანგარიშის დასახელება	**ჯამი**
სამეურვეო საბჭო	***919,051***
ბორდის წევრების ჰონორარი	**686,879**
სხვა ხარჯი	**232,171**
აპარატის ხელფასი	179,992
მივლინება	1,730
საკონსულტაციო ხარჯი სამ.	49,900
შესყიდვები სამ.საბ.	549
გენერალური დირექტორი და დაქვემდებარებული სამსახურები	***3,170,463***
შრომის ანაზღაურება	**2,610,735**
გენერალური დირექტორის აპარატი	*243,605*
ადამიანური რესურსები მართვის სამსახური	*238,527*
იურიდიული სამსახური	*200,160*
მარკეტინგი და კომუნიკაცია	*51,346*
მარკეტინგის ჯგუფი	*214,330*
კვლევის და ანალიტიკის ჯგუფი	*95,676*
პროექტი ანგარიშგება და ანალიზი	*91,374*
ბრენდინგის და პრომოების ჯგუფი	*590,419*
სარეკლამო ჯგუფი	*79,400*
ახალი მედია და ინოვაცია	*239,425*
სოციალური მედიის ჯგუფი	*100,157*
ვებ დეველოპმენტის ჯგუფი	*149,223*
ტექნიკური უზრუნვ. და ადმინისტრირების ჯგუფი	*317,094*
მარკეტინგული ღონისძიებები	**302,408**
ონლაინ მედია	**211,301**
ვებ პროექტი პირველი არხის სცენა	**46,019**
ახალი და მიმდინარე ამბები	***13,358,911***
შრომის ანაზღაურება (ადმინისტრაცია)	**138,000**
ახალი ამბები	**10,817,431**
შრომის ანაზღაურება	**9,205,788**
ცენტრალური მართვის აპარატი	*201,825*
რადარული მართვის აპარატი	*210,190*
წარმოების და ტექ.უზრუნველყოფის ჯგ.მოამბე	*4,186,138*
სოციალური მედიის ჯგ	*81,931*
ინფორმაციის მოპოვების და დამუშავების აპარატი	*88,125*
პოლიტიკის მიმართულების ჯგ	*374,654*
საერთაშორისო მოვლენების მიმართ. ჯგ	*292,722*
სოც. მოვლენების მიმართ. ჯგ	*125,807*
კრიმინალის და სამართლის მიმართ ჯგ	*102,190*

ეკონომიკის მიმართ. ჯგ	*101,231*
კულტურის მიმართ ჯგ	*157,511*
სპორტული მიმართ ჯგ	*515,238*
მულტიფუნქციური კორესპოდენტების ჯგ	*576,693*
მედია პროდუქციის წარმოების აპარატი	*19,500*
ახალი ამბების არქივი	*187,878*
ტელეპროდუქციის წარმ. ჯგ	*502,103*
რეგიონული ამბების ჯგ	*248,792*
რადიო წარმოების ჯგ	*130,955*
მონიტორინგის სამუშაო ჯგუფი	*14,325*
ონლაინ მედია პროდუქციის წარმ ჯგ	*538,946*
უცხოენოვანი ჯგუფი	*275,413*
ანალიტიკური სამსახური	*273,621*
მივლინება	**1,012,328**
უცხური საინფ. სააგენტოები, სიგნალის გადმოგორება	**528,350**
შესყიდვები მოამ.	**70,966**
„ანალიტ. ჟურნალი 42 პარალელი"	**21,216**
შრომის ანაზღაურება	21,216
დღიური ანაზღაურება	-
მივლინება	-
შესყიდვები	-
ახალი ამბების რადიო პლატფორმა	**86,752**
შრომის ანაზღაურება	86,752
დღიური ანაზღაურება	-
მივლინება	-
შესყიდვები	-
პროექტი "მრავალფეროვანი საქართველო"	**352,211**
შრომის ანაზღაურება	290,188
დღიური ანაზღაურება	62,023
მივლინება	-
შესყიდვები	-
„ბიზნეს პარტნიორი"	**772,654**
შრომის ანაზღაურება	-
დღიური ანაზღაურება	-
მივლინება	565
შესყიდვები ბიზნ.	772,089
„ახალი კვირა"	**359,649**
შრომის ანაზღაურება	309,119
დღიური ანაზღაურება	50,394
მივლინება	135
შესყიდვები ახ. კვ.	-
„გამომძიებელი რეპორტიორი"	**213,311**
შრომის ანაზღაურება	207,464
დღიური ანაზღაურება	263
მივლინება	5,585
შესყიდვები	-

„აქტუალური შაბათი მაკა ცინცაძესთან ერთად"	**134,325**
შრომის ანაზღაურება	134,325
დღიური ანაზღაურება	-
მივლინება	-
შესყიდვები	-
„42 პარალელი"	**228,363**
შრომის ანაზღაურება	228,363
დღიური ანაზღაურება	-
მივლინება	-
შესყიდვები	-
„საინტერესო ადამიანები"	**60,000**
შრომის ანაზღაურება	60,000
დღიური ანაზღაურება	-
მივლინება	-
შესყიდვები	-
გადაცემა „თავისუფალი ხედვა"	**55,000**
შრომის ანაზღაურება	55,000
დღიური ანაზღაურება	-
მივლინება	-
შესყიდვები თავის.	-
ვებ პროექტი „ანტიფეიქი"	**120,000**
შრომის ანაზღაურება	120,000
დღიური ანაზღაურება	-
მივლინება	-
შესყიდვები	-
მედია	***20,863,808***
შრომის ანაზღაურება	**1,552,758**
დირექტორის აპარატი	*400,986*
სარეკომენდაციო საბჭო	*126,758*
ტელე-რადიო პროდუქციის დაგეგმვისა და პროგრამირების ჯგუფი	*100,993*
ვიზუალური გაფორმების ჯგ	*292,318*
პირველი არხი	*217,720*
მზა პროდუქციის შერჩევის და თარგმნა გახმოვანების სამსახური	*54,000*
მზა პროდუქციის შერჩევის და შესყიდვების ჯგუფი	*46,362*
თარგმნა გახმოვანების ჯგ	*313,621*
მივლინება	**94,348**
წარმომადგენლობით ხარჯი	**37,539**
შესყიდვები მედია	**159,432**
მექანიკური პროდუქცია	**729,841**
კონცერტები/დაჯილდოებები	**10,746**
ქართული ფილმები	**72,100**
არქივი	**680,243**
სატელევიზიო ფორმატები (ლიცენზიები)	**201,162**
პროექტი მასტერშეფი	172,614
პროექტი ვოისი	3,577
Audionetwork Limited	13,555
ZED	11,416

სპორტული მიმართულება	**3,572,006**
სიგნალები და სპორტული სააგენტოები	**1,369,521**
მ.ს.ს და სპორტის ტექნიკური ხარჯი	1,270,727
SNTV (Sport News Reporting Licence)	98,794
სპორტული ლიცენზიებ	**2,202,485**
Qatar 2022	1,142,801
UEFA/FIFA other Events	23,573
FIBA 2022-2025	169,367
ოლიმპიადა_Beijing 2022	495,737
ოლიმპიადა_Paris 2024	139,041
ძიუდო	42,920
ძალოსნობა	96,263
წყალბურთი	92,783
ტელეჟურნალი ელექტროლიტი	**17,775**
შრომის ანაზღაურება	-
დღიური ანაზღაურება	17,775
მივლინება	-
შესყიდვები	-
გადაცემა „ახალი დღე"	**772,314**
შრომის ანაზღაურება	735,634
დღიური ანაზღაურება	14,099
მივლინება	22,581
შესყიდვები	-
გადაცემა „ექსპონატით მოყოლილი ისტორია"	**25,500**
შრომის ანაზღაურება	25,500
დღიური ანაზღაურება	-
მივლინება	-
შესყიდვები	-
პროექტი „აკუსტიკა"	**421,473**
შრომის ანაზღაურება	349,560
დღიური ანაზღაურება	65,762
მივლინება	5,750
შესყიდვები აკუს.	400
პროექტი „ჰოპლა ჩვენ ვცოცხლობთ"	**143,194**
შრომის ანაზღაურება	129,219
დღიური ანაზღაურება	-
მივლინება	13,975
შესყიდვები	-
გადაცემა „პირადი ექიმი მარი მალაზონია"	**220,043**
შრომის ანაზღაურება	214,523
დღიური ანაზღაურება	-
მივლინება	5,520
შესყიდვები ექ.	-
გადაცემა „დღის კოდი"	**461,096**
შრომის ანაზღაურება	459,378
დღიური ანაზღაურება	213

მივლინება	1,505
შესყიდვები	-
გადაცემა „ფერმა"	**155,486**
შრომის ანაზღაურება	122,806
დღიური ანაზღაურება	-
მივლინება	32,680
შესყიდვები	-
გადაცემა „რეალური სივრცე"	**433,217**
შრომის ანაზღაურება	414,793
დღიური ანაზღაურება	1,700
მივლინება	16,724
შესყიდვები	-
გადაცემა „ტაიმ-აუტი"	**111,836**
შრომის ანაზღაურება	94,125
დღიური ანაზღაურება	255
მივლინება	17,456
შესყიდვები ტაიმ.	-
პროექტი „დოსიე"	**145,575**
შრომის ანაზღაურება	145,200
დღიური ანაზღაურება	375
მივლინება	-
შესყიდვები	-
მეგა შოუ „რანინა"	**398,873**
შრომის ანაზღაურება	80,625
დღიური ანაზღაურება	222,073
მივლინება	655
შესყიდვები რან.	95,520
პროექტი „ევროვიზია"	**616,629**
შრომის ანაზღაურება	-
დღიური ანაზღაურება	57,924
მივლინება	69,690
შესყიდვები ევრ	489,016
პროექტი „გორგილაძის აუტანელი სიმსუბუქე"	**131,432**
შრომის ანაზღაურება	125,175
დღიური ანაზღაურება	-
მივლინება	6,257
შესყიდვები გორგი.	-
გადაცემა „ამ შაბათ - კვირას"	**359,740**
შრომის ანაზღაურება	349,822
დღიური ანაზღაურება	4,354
მივლინება	5,420
შესყიდვები შაბათ. კ	144
პროექტი „100 ქართული სიმღერა"	**11,200**
შრომის ანაზღაურება	11,200
დღიური ანაზღაურება	-
მივლინება	-
შესყიდვები	-

26 მაისი	**36,136**
შრომის ანაზღაურება	-
დღიური ანაზღაურება	17,415
მივლინება	18,721
შესყიდვები	-
გარეწარმოება	**6,628,568**
გადაცემა „მარტივი ლოგიკა”	567,156
„წიგნების თაროს" პროექტები	1,214,004
პროექტი „რა? სად? როდის?”	155,563
პროექტი „მასტერშეფი”	1,269,661
მუსიკალური მეგაშოუ „ვოისი"	467,698
პროექტი „კაცები”	275,000
„შარქთენქ საქართველო”	267,703
მხარტვრულ-დოკუმენტური ფილმი „მეფე ერეკლე - რეპორტაჟი ისტორიიდან“	261,973
ქართული ანიმაციური სერიალი „მაშველები”	50,002
ქართული მხატვრული სერიალი „სიყვარულს მიღმა”	1,330,000
ქართული მხატვრული სერიალი „2085” (სცენარი)	25,000
ქართული მხატვრული სერიალი „ო-ჯახი”	744,807
ტელეფილმების გაერთიანება	**942,059**
ტელეფილმები (ადმინისტრაცია)	**185,400**
დოკუმენტური ფილმები	**104,006**
კოპროდუქციული ფილმები	**257,307**
სტუდია ეპოქა	**327,251**
შრომის ანაზღაურება	219,000
დღიური ანაზღაურება	68,495
მივლინება	39,406
შესყიდვები ეპო.	350
ტელედოკი	**68,095**
შრომის ანაზღაურება	29,125
დღიური ანაზღაურება	30,750
მივლინება	8,220
შესყიდვები	-
ტელესკოლა	**917,808**
ტელესკოლა (ადმინისტრაცია)	**360,615**
შრ.ანაზღაურება	306,082
დღიური ანაზღაურება	45,898
მივლინება	8,345
შესყიდვები სკ.	290
პროექტი ტელეგაკვეთილები	**97,830**
შრ.ანაზღაურება	97,830
დღიური ანაზღაურება	-
მივლინება	-
შესყიდვები	-
ვებ პროექტი „მათემატიკის გაკვეთილები"	**30,600**
შრომის ანაზღაურება	30,600
დღიური ანაზღაურება	-

მივლინება	-
შესყიდვები	-
პროექტი „ჩვენი საქართველო"	**46,599**
შრ.ანაზღაურება	46,599
დღიური ანაზღაურება	-
მივლინება	-
შესყიდვები ჩვ. საქ.	-
გადაცემა „ასტრონომთა კლუბი"	**30,605**
შრომის ანაზღაურება	27,200
დღიური ანაზღაურება	-
მივლინება	3,405
შესყიდვები	-
პროექტი „წითელი სკამი"	**57,030**
შრომის ანაზღაურება	57,030
დღიური ანაზღაურება	-
მივლინება	-
შესყიდვები	-
პროექტი „თაობა"	**89,695**
შრომის ანაზღაურება	73,720
დღიური ანაზღაურება	15,035
მივლინება	940
შესყიდვები	-
პროექტი „გენიოსები"	**33,000**
შრომის ანაზღაურება	33,000
დღიური ანაზღაურება	-
მივლინება	-
შესყიდვები	-
მათემატიკის „ოლიმპიადა"	**500**
შრომის ანაზღაურება	-
დღიური ანაზღაურება	-
მივლინება	-
შესყიდვები ოლიმ.	500
პროექტი "გვიდოს ქოხი"	**80,039**
შრომის ანაზღაურება	-
დღიური ანაზღაურება	-
მივლინება	-
შესყიდვები გვი.	80,039
პროექტი "ფოტოგრაფია"	**22,120**
შრომის ანაზღაურება	20,000
დღიური ანაზღაურება	400
მივლინება	1,720
შესყიდვები	-
პროექტი "კინო კლუბი"	**45,275**
შრომის ანაზღაურება	45,275
დღიური ანაზღაურება	-
მივლინება	-
შესყიდვები	-

პროექტი "როცა ბავშვი"	**15,000**
შრომის ანაზღაურება	15,000
დღიური ანაზღაურება	-
მივლინება	-
შესყიდვები	-
პროექტი "ქართული ხალხური სიმღერა"	**8,900**
შრომის ანაზღაურება	8,900
დღიური ანაზღაურება	-
მივლინება	-
შესყიდვები	-
რადიო გადაცემები	**803,681**
შრომის ანაზღაურება	789,650
დღიური ანაზღაურება	3,827
მივლინება	10,204
შესყიდვები რად.	-
ტექნიკა და ტექნოლოგიები	***12,137,989***
შრომის ანაზღაურება	**7,682,051**
დირექტორის აპრატი	*323,062*
გავრცელების უზრუნველყოფის სამს	*55,825*
საერთაშორის ჩართვების ჯგ	*21,675*
შიდა და გარე სიგნალების მომსახურე ჯგ	*228,163*
ტექნიკური უზრუნველყოფის სამს	*55,825*
დაგეგმარების ჯგ	*66,394*
მოძრავი სატელევიზიო სადგურის ჯგ	*461,155*
სარემონტო ჯგ	*62,301*
სტუდიების ჯგ	*337,557*
ტელე ცენტრალური სააპარატოს ჯგ	*104,374*
რადიოს ტექნ უზრუნველყოფის ჯგ	*131,948*
ენერგეტიკის სამუშაო ჯგ	*220,362*
წარმოების დაგეგმარების & კონტროლის ჯგ	*68,725*
ოპერატორების ჯგ	*1,526,499*
ხმის რეჟისორები ჯგ	*595,917*
მემონტაჟეთა და გაფიკოსთა ჯგ	*811,262*
ვიზაჟისა და სტილისტების ჯგ	*233,220*
გამნათებლების ჯგ	*412,046*
საეთერო ჯგ	*471,868*
ცენტრალური საეთეროს ჯგ	*316,055*
სამხატრო-სადადგმო ჯგ	*409,727*
კამერების პარკი	*109,750*
განათების პარკი	*13,500*
ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახური	*644,842*
მივლინება	**5,835**
ვებმაუწყებლობა და სტრიმინგი	**337,850**
ტელერადიოცენტრი (სიგნალის გავრცელება)	**2,300,000**
სატელიტის მომსახურება	**197,538**

AZECOSMOS	109,515
EUTELSAT	88,023
ტექნიკის და სხვა შესყიდვები	**1,508,015**
ტექნიკის და სათადარიგო ნაწილების შესყიდვა	**856,512**
პროგრამული უზრუნველყოფის შესყიდვა (ანტივირუსი და სხვა ლიცენზიები)	**459,939**
სტუდიის დეკორაცია	**54,477**
ვიზაჟის მასალა (კოსმ. პროდუქტი)	**32,973**
გარდერობი	**12,724**
ინტერნეტ მომსახურება, სილქ ტივი და სხვა მომსახურება	**12,287**
სატელეკომუნიკაციო მომსახურებები (ჭებში გატარება)	**42,110**
სხვა ტექნიკური ხარჯი	**36,994**
ტექნიკის იჯარა	**106,700**
უწყვეტი კვების წყარო	106,700
ფინანსები და ადმინისტრაცია	***12,212,081***
შრომის ანაზღაურება	**2,373,306**
ბლოკის დირექტორის აპარატი	*189,500*
ფინანსური ანალიზისა და ფინანსური აღრიცხვის სამს	*55,760*
ბუღალტრული აღრიცხვის ჯგუფი	*225,734*
ფინანსური ანალიზის,ბიუჯეტირების და რეპორტინგის ჯგუფი	*110,599*
შესყიდვების სამს	*270,125*
ადმინისტრაცია	*191,279*
საწყობი	*69,299*
ტელეკომუნიკაციის ჯგ	*31,709*
სარემონტო ჯგ	*92,065*
ვენტილაციის ჯგ	*74,189*
ავტოპარკი	*966,522*
საქმის წარმოების სამსახური	*96,525*
ახალი შენობის ზედამხედველობა	**390,840**
ახალი შენობის მშენებლობა	**6,689,132**
კომუნალური ხარჯები	**1,184,474**
წყალი	110,841
ელ. ენერგია	808,630
გაზი	50,018
დასუფთავება, სანიტარული, ნარჩენების გატანა	214,985
ტრანსპორტი	**876,722**
ტრანსპორტის მომსახურების ხარჯი	**180,698**
ტრანსპორტის შეკეთება (მომსახურება)/სათად. ნაწილები	129,568
საბურავები, ზეთი და სხვა	9,852
ავტოტრანსპორტის დაზღვევა	25,107
GPS	9,205
ტექ. დათვალიერება	4,020
პარკირების და ჯარიმის გადასახადი	2,946
საწვავ-საპოხი მასალები	**421,024**
ბენზინი	342,911
დიზელი	78,112
ავტოპარკის განახლება	**275,000**

კავშირგაბმულობა	**164,114**
მობილური/ქალაქის ტელეფონი	157,702
112-ის მომსახურება	6,412
საოფისე მასალები	**50,460**
საოფისე ინვენტარი	40,518
საკანცელარიო საქონელი	5,237
კარტრიჯები, საბეჭდი მასალები	4,705
შენობა-ნაგებობების დაცვა	**298,830**
სამეურნეო საქონელი	**47,980**
საოფისე ელ. ტექნიკა და სხვა	**50,022**
საფოსტო, საკონსულტაციო, თარგმნა, ნოტარიუსის მომსახურება	**13,002**
ინფრასტრუქტურის და საოფისე მოწყობილებების /შენახვა/მოვლა	**37,593**
ტრანსპორტის დაქირავება	**2,190**
სხვა ადმინისტრაციული ხარჯი	**33,416**
გადასახდელები	***13,730,210***
ევროპის მაუწყებელთა კავშირის (EBU) საწევროს ხარჯი	**530,246**
დღგ (რეალიზაციის, უკუდაბეგვრის)	**1,420,000**
ქონების გადასახადი	**30,417**
მიწის გადასახადი	**16,215**
მოგების გადასახადი	**18,790**
საავტორო უფლებები	**324,806**
სესხის მომსახურება	**11,333,058**
სახელმწიფო ბაჟი	**18,795**
სხვა მიმდინარე დავალიანება/გადასახადები	**37,884**
ჯამი:	**76,392,513**

10] შიდა და გარე აუდიტების დასკვნები

საზოგადოებრივი მაუწყებლის 2022 წლის შიდა და გარე აუდიტორული ანგარიშები წარმოდგენილია დანართის სახით (იხ. დანართი N1 და დანართი N2).